

როგორ უნდა მოხდეს არასრულწლოვანთა დახურული სასამართლოს სხდომების მონიტორინგი

სასამართლო პროცესების მონიტორინგი წარმოადგენს სასამართლო რეფორმის მნიშვნელოვან იარაღს, რაც ხელს უწყობს სამართლიანი სასამართლოს როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი გარანტიების დაცვას. სასამართლო პროცესების დამოუკიდებელ მონიტორინგს შეუძლია მოახდინოს სასამართლო სისტემის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და წარმოადგინოს რეკომენდაციები უკეთესი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით. სასამართლო პროცესების მონიტორინგი წარმოადგენს გზას სახელმწიფოს, სამოქალაქო და საერთაშორისო საზოგადოებისთვის, რათა ხელი შეუწყონ სამართლიანი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბებას, მის გამჭვირვალობასა და ეფექტიანობას. მონიტორინგის განმახორციელებელი პროგრამები ქმნის შესაძლებლობას შეგროვდეს ინფორმაცია კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით, შემდეგ კი დასკვნები განზოგადდეს სასამართლო სისტემის ფუნქციონირების შეფასების მიზნით.

სასამართლო პროცესის მონიტორინგი არის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი იარაღი, რომ შეფასდეს რამდენად არის დაცული ამ პროცესში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები და საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტებით განსაზღვრული საპროცესო გარანტიები. ასეთი სახის სისტემის შემუშავება შესაძლებელია ისე, რომ ამავდროულად გასაჯაროებისაგან დაცული იყოს სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე ბავშვების პირადი მონაცემები.

ამ მიზნით აუცილებელია ადგილობრივ დონეზე ჩამოყალიბდეს არასრულწლოვანთა დახურული სასამართლო სხდომების გარე მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც საქმიანობას განახორციელებს საერთაშორისო სტანდარტებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. თუმცა ასეთი სახის მექანიზმის ჩამოყალიბება არ გულისხმობს არასრულწლოვანთა სასამართლო სხდომების გასაჯაროებას და როგორც ეს ადგილობრივი კანონმდებლობით არის განსაზღვრული, სხდომები ისევ გაგრძელდება დახურულ კარს მიღმა. **დახურული სასამართლო სხდომების მონიტორინგი ამ შემთხვევაში უნდა გულისხმობდეს სპეციალური კვალიფიკაციის მქონე პირთა სასამართლო სხდომებზე დაშვებას განსაზღვრული მიზნით, განსაზღვრული დროითა და გარკვეული სახის ვალდებულებებით.** ამ პროცესის ორგანიზების მიზნით, გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი სახის კომპონენტები:

1. მონიტორების/მონიტორინგის ჯგუფის შერჩევის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

უნდა განისაზღვროს ის **საკვალიფიკაციო მოთხოვნები**, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს მონიტორი. კერძოდ, განათლება, გამოცდილება, მაღალი მორალური სტანდარტი და პროფესიული უნარები. მონიტორინგი შესაძლოა ხორციელდებოდეს განსაზღვრული პროექტის/პროგრამის ფარგლებში, რომელიმე ორგანიზაციის ან საინიციატივო ჯგუფის მიერ. ბუნებრივია ორივე შემთხვევაში უნდა შეფასდეს მონიტორების კვალიფიკაცია, თუმცა ორგანიზაციის მიერ მონიტორინგის განხორციელების შემთხვევაში, დამატებით უნდა შეფასდეს ორგანიზაციის რელევანტური გამოცდილებაც და დაფინანსების წყაროს გამჭვირვალობა.

2. მონიტორინგის განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპები

მნიშვნელოვანია, რომ ჩამოყალიბდეს მონიტორინგის განხორციელების ერთიანი სახელმძღვანელო პრინციპები, რითიც უნდა იხელმძღვანელოს ნებისმიერმა პირმა/პირთა ჯგუფმა სასამართლო სხდომების მონიტორინგის განხორციელებისას. აღნიშნული დოკუმენტი უნდა ეყრდნობოდეს ისეთ მნიშვნელოვან პრინციპებს, როგორც არის ჩაურევლობა, მიუკერძოებლობა, კონფიდენციალობა.

ასევე მნიშვნელოვანია ამავე დოკუმენტში ჩამოყალიბდეს მონიტორების ქცევის წესები (ქცევის კოდექსი), რაც დეტალურად დაარეგულირებს, მონიტორების დასწრების წესებს სასამართლო სხდომებზე.

3. მონიტორინგის განხორციელების მეთოდოლოგია

მონიტორინგის განხორციელების მსურველმა პირთა ჯგუფმა/ორგანიზაციამ, უნდა წარმოადგინოს დეტალურად გაწერილი მონიტორინგის განხორციელების მეთოდოლოგია, სადაც დეტალურად უნდა იყოს ჩამოყალიბებული - მონიტორინგის ხანგრძლივობა; რეგიონალური დაფარვა; დროითი ჩარჩო; მონიტორინგის განხორციელების ინსტრუმენტები (მაგ. კითხვარები) ანგარიშგების წესი, მონიტორინგის დასრულების შემდგომი ნაბიჯები.

4. მონიტორების/მონიტორინგის ჯგუფის სასამართლო სხდომებზე დაშვების წესი და პროცედურა

მნიშვნელოვანია, რომ საკანონმდებლო დონეზე ჩამოყალიბდეს მონიტორინგის მიზნით სასამართლო სხდომებზე მონიტორების/მონიტორინგის ჯგუფის დაშვების წესი და პროცედურა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს - ზემოთ აღნიშნულ საკითხებს:

- მონიტორების საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
- სახელმძღვანელო პრინციპებს;
- მეთოდოლოგიის წარმოდგენის ვალდებულებას;
- გადაწყვეტილების მიღების წესს;
- კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულებას;
- საინიციატივო ჯგუფთან/ორგანიზაციასთან შეთანხმების ფორმას (მაგ. თანამშრომლობის მემორანდუმი);
- ანგარიშების წარმოდგენის წესს და მათზე რეაგირების ფორმას;
- და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შექმნის ერთ-ერთი მიზანი არის მართლმსაჯულების ხარისხის და ეფექტიანობის უზრუნველყოფა, ასევე კანონმდებლობაში ხაზგასმულია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო შეიმუშავებს და ამტკიცებს საერთო სასამართლოების ორგანიზაციული მუშაობის წესს და შეიმუშავებს წინადადებებს სასამართლო რეფორმის თაობაზე.

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, არასრულწლოვანთა დახურული სასამართლოს სხდომების გარე მონიტორინგის წესი და პროცედურა დაარეგულირდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე.